H-F-H
History-Film-History

1920-იან წლებში, ბრიტანულ კინოინდუსტრიას დიდი კონკურენცია შეხვდა ამერიკიდან. ბრიტანეთში ნაჩვენები ფილმების მხოლოდ 5 პროცენტი იყო ბრიტანული. ჰაროლდ ლოიდი, ბასტერ კიტონი და ჩარლი ჩაპლინი, კლარა ბოუ და დუგლას ფეირბენქსი საზოგადო სახელებად იქცა, რადგან აშშ-ს ვარსკვლავურმა სისტემამ უზარმაზარი აუდიტორიის მოზიდვა დაიწყო. ევროპის მასშტაბით კინორეჟისორები ექსპერიმენტებს ატარებდნენ სიუჟეტის ტექნიკითა და მონტაჟის შესაძლებლობების ირგვლივ, იკვლევდნენ, თუ რა გავლენის მოხდენა შეეძლო სხვადასხვა ტიპის კადრებს აუდიტორიაზე. ისეთი რეჟისორები, როგორც ეიზენშტეინი, ფრიც ლანგი და კარლ თეოდორ დრაიერი, ახალ კინემატოგრაფიულ ესთეტიკას ქმნიდნენ.

უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ხმიანი გამოსახულების გამოჩენა, რომელმაც რევოლუცია მოახდინა მთელ კინოინდუსტრიაში .

ხმოვანი ფილმები 1926 წლიდან არსებობს, არა ოპტიკური ხმის (რომელიც აუდიო და ვიზუალურ ინფორმაციას ერთ ფირზე აერთიანებს) არამედ, დისკზე ხმის ჩაწერის ტექნოლოგიის წყალობით (ისეთი მოწყობილობის გამოყენებით, როგორიცაა ფონოგრაფი, რაც მუსიკის ფილმთან სინქრონულად გაშვების საშუალებას იძლევა).

ჰოლივუდში Warner Bros-ის ფილმმა „ჯაზის მომღერალი“ დაიწყო მოლაპარაკე სურათების გამოშვება, ასე რომ, ახლა მზარდი ზეწოლა იყო ბრიტანულ კინოინდუსტრიაზე, რათა საკუთარი სრულმეტრაჟიანი, ხმოვანი ფილმები შეექმნათ.

პირველი ბრიტანული ხმოვანი ფილმები და მათი წინამორბედი ბრიტანული მუნჯი ფილმები ბევრად უფრო დაბალი ხარისხის იყო, ვიდრე ბრწყინვალე კულუარული მიუზიკლები, რომლებსაც იმავე პერიოდში ამერიკული სტუდიები სთავაზობდნენ.

ფილმი „შანტაჟი“, ადაპტირებული რეჟისორ ალფრედ ჰიჩკოკის მიერ ჩარლზ ბენეტის 1928 წლის პიესიდან, თავდაპირველად, მუნჯი ფილმის სახით იყო გადაღებული. თუმცა, გადაღების დროს ჰიჩკოკმა გარკვეული სცენები ხელახლა,

ხმით გადაიღო. მოგვიანებით, 1929 წელს გამოსული "შანტაჟი" ოფიციალურად იქნა აღიარებული, როგორც ბრიტანეთის პირველი ოფიციალური "ხმოვანი კინო".

ფილმი მოგვითხრობს ალისა უაითზე, რომელიც 1920-იანი წლების ლონდონში მაღაზიის მეპატრონის ქალიშვილია. მისი მეგობარი ბიჭი, ფრენკ ვებერი სკოტლანდ იარდის დეტექტივია, რომელიც უფრო პოლიციაში მუშაობით არის დაინტერესებული, ვიდრე მისით. ერთ ღამეს ფრენკს პაემანზე მიყავს ალისა, რომელიც ფარულად სხვა მამაკაცსაც ხვდება. მოგვიანებით, იმავე ღამით, ალისა თანხმდება მას ბინაში გაყვეს და ნახოს მისი სტუდია. მამაკაცს სხვა აზრები აქვს და როდესაც ის ალისას გაუპატიურებას ცდილობს, ქალი თავს იცავს და მას პურის დანით კლავს. როდესაც ცხედარს აღმოაჩენენ, ფრენკს ავალებენ ამ საქმეს, ის სწრაფად ადგენს, რომ მკვლელი ალისაა, მაგრამ ეს ამბავი სხვამაც იცის და ქალს შანტაჟით ემუქრება.

„შანტაჟის“ კინემატოგრაფიაზე დიდი გავლენა მოახდინა გერმანულმა ექსპრესიონიზმმა, თავისი შუქ-ჩრდილისა და ლამაზი, მკვეთრი კუთხეების გამოყენებით. ეს შეიძლება იმით იყოს განპირობებული, რომ 1924 წელს 25 წლის ჰიჩკოკი Gainsborough Pictures-მა გერმანიაში გაგზავნა. ის პოტსდამის პრესტიჟულ UFA-ს სტუდიაში მუშაობდა, სადაც ევროპელი კინორეჟისორების მაგალითზე კინოწარმოების მხატვრულ მიდგომებს გაეცნო.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და 1930-იანი წლების დასაწყისამდე UFA-ში დასაქმებული იყო რამდენიმე საოცრად გავლენიანი კინორეჟისორი: ერნსტ ლუბიჩი, ფრიც ლანგი და ფრიდრიხ ვილჰელმ მურნაუ. ჰიჩკოკი მურნაუსთან ერთად აკვირდებოდა მისი 1926 წლის შედევრის, „უკანასკნელი სიცილის“ შექმნას.

ჰიჩკოკის ბერლინში გატარებული დრო, მათ შორის, მისი 1925 წლის რეჟისორული დებიუტი "სიამოვნების ბაღი," აშკარად მშვენიერი სწავლის პერიოდი იყო. კლაუსტროფობიური პერსპექტივები და იმდროინდელი გერმანული კინემატოგრაფიისთვის ასე დამახასიათებელი გრძელი ჩრდილები ნათლად ჩანს მის პირველ თრილერში, „მდგმური: ლონდონის ნისლის ამბავი“ (1929).

თავდაპირველად მოსალოდნელი იყო, რომ ჰიჩკოკი გადაიღებდა შანტაჟის მხოლოდ ნაწილს, როგორც "მოლაპარაკე სურათს". თუმცა, რეჟისორმა ფილმის უმეტესი ნაწილი ხმით გადაიღო.

„შანტაჟი“ ბევრ სტილისტურ ელემენტსა და თემას ასახავს, რომელთანაც ჰიჩკოკი ასოცირდება:

ჰიჩკოკის ცნობილი თვალსაჩინო ეპიზოდური როლი: აქ ის უფრო არსებით შუალედში ჩნდება, როგორც ავტობუსის მგზავრი, რომელსაც პატარა ბიჭი აწუხებს.

ასევე, „ქერა საფრთხის ქვეშ“ და ცნობილი ღირშესანიშნაობების მის ფილმებში გამოყენება, ამ შემთხვევაში ფინალი, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმის სამკითხველო ოთახის გუმბათოვანი სახურავის შიგნით მიმდინარეობს.

„შანტაჟი“ ღირშესანიშნავია სწრაფი დიალოგითა და ხმის დახვეწილი გაფორმებით, მაგალითად, როდესაც სიტყვა „დანის“ განმეორებითი ხსენება ამძიმებს ჩვენი გმირის სინდისს. ეს ცნობილი სცენა, სადაც მკვლელობა ხდება, აჯამებს ჰიჩკოკის დამოკიდებულებას მის თრილერებთან: „თუ მაყურებელი დანას დაინახავს, უკვე იციან, რომ მას გამოიყენებენ“.

"შანტაჟის" მუნჯი ვერსია ხმოვანი ვერსიის შემდეგ გამოვიდა. ის რეალურად უფრო მეტხანს გადიოდა კინოთეატრებში და უფრო პოპულარული აღმოჩნდა, ძირითადად იმიტომ, რომ ბრიტანეთში კინოთეატრების უმეტესობა ჯერ კიდევ არ იყო ხმისთვის აღჭურვილი!

თუ 1920-იანებმა შეცვალეს მაყურებლის მიერ ფილმების აღქმა, 1930-იანი წლები ფინანსური გაჭირვებისა და სოციალური პრობლემების დრო აღმოჩნდა, რამაც ასევე იმოქმედა კინოინდუსტრიაზე.

Co-funded by the European Union
Creative Europe MEDIA